სᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ

# ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ N 2-980

04/12/2018

Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

**შპს „ლეგომეტალის“ ალუმინის ჯართისგან ალუმინის სხმულების საწარმოს ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის მე-5 პუნქტის საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. გაიცეს შპს „ლეგომეტალის“ ალუმინის ჯართისაგან ალუმინის სხმულების საწარმოს ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა #53; 18.11.2018წ. (ქ.თბილისში გარდაბნის მუნიციპალიტეტი სოფ.მარტყოფი);
2. შპს“ლეგომეტალი“ ვალდებულია გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს #53; 18.11.2018წ სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ლეგომეტალს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ლეგომეტალის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გარდაბნის გამგეობის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი